ანგარიში
საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ


საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 26 ნოემბრის №859 ბრძანებულების საფუძველზე.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა. ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, მათი ვალდებულებები და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებები.


მოქმედი კანონმდებლობით მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. 2010 წელს სამსახურში სულ შემოვიდა 80 156 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის 13 867 ფორმა საეჭვო გარიგების (ოპერაციის) თაობაზე, ხოლო 66 289 ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. გასული წლების მსგავსად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ – 61 149 ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 4042 ანგარიშგების ფორმა, სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ – 187, ნოტარიუსების მიერ – 8456, საბროკერო კომპანიების მიერ – 284, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ – 206, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ – 5216, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ – 267, საბაჟო სამსახურის მიერ – 304, სამორინეების მიერ – 11, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მიერ – 25 და არასაბანკო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ – 9 ანგარიშგების ფორმა.

აღსანიშავია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირის, მიმართ ანგარიშგების საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გადაგზავნის ვალდებულების ამოქმედების დღიდან – 2010 წლის 18 თებერვლიდან 2011 წლის 1 იანვრამდე სააგენტოს მიერ მოწოდებულია 47393 ანგარიშგების ფორმა.

გრაფიკულად 2010 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა (გარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ფორმების რაოდენობისა) შემდეგნაირად გამოიყურება:



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში 2009 წელთან შედარებით 2010 წელს შემოსული ინფორმაციის მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:



საანგარიშო წლის მანძილზე მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს გადასცა 9 საქმე (ყველა საქმე ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სავარაუდო შემთხვევებს).

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მონაცემთა ბაზის შევსება და ეფექტური საქმიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამსახურის საქმიან ურთიერთობებზე და თანამშრომლობაზე ქვეყნის შიგნით საზედამხედველო ორგანოებთან და საზღვარგარეთის სახელმწიფოების ფინანსური მონიტორინგის სამსახურებთან. საანგარიშო წლის მანძილზე ფინანსური მონიტორინგის სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროებთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების შედეგად საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2010 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 23 შეკითხვა და 5 პასუხი ქართული მხარის შეკითხვებზე. უცხოელ კოლეგებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაეგზავნა 3 შეკითხვა და 25 პასუხი მათ შეკითხვებზე (2 შეკითხვა მიღებულია 2009 წელს). ორმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2010 წელს მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულ იქნა ანდორას, სან-მარინოს და ინდოეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებთან. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 28 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან (ლიხტენშტეინი, უკრაინა, სერბეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, ისრაელი, სლოვენია, რუმინეთი, ტაილანდი, პანამა, ბელგია, ბულგარეთი, ჩინეთი, ხორვატია, სომხეთი, მოლდოვა, ლიბანი, ინდონეზია, თურქეთი, შვედეთი, მაკედონია, პოლონეთი, ლატვია, კვიპროსი, არუბა, ანდორა, სან-მარინო და ინდოეთი).

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, 2010 წლის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ან საყურადღებო ზონებისა და ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განსაზღვრის მიმართულებით. აღნიშნული სიების შედგენა ხორციელდება ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტის (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს №1267 რეზოლუციის საფუძველზე) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების საფუძველზე. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დამტკიცებულ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში (რომელიც დამტკიცებულია „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანებით) საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის უფროსის ბრძანებების საფუძველზე რამდენჯერმე განხორციელდა დამატება და ცვლილება (ბრძანებები №0110/14-1 14.01.2010; №0310/5-1 05.03.2010; №0610/9-1 09.06.2010; №0710/7-1 07.07.2010; №0810/27-1 27.08.2010 და №1210/13-1 13.12.2010). ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა

და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა.

2010 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებულად გაგრძელდა მუშაობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით, საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა 2010 წლის იანვარში და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2010 წლის 23 მარტს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით განხორციელდა კანონში არსებული ზოგიერთი დეფინიციის დაზუსტება და მათი ჰარმონიზაცია ევროკავშირის მესამე (2005/60/EC) დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ასევე ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-6 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მიზნით, მოხდა პოლიტიკურად აქტიურ პირთა ტერმინისა და ამ უკანასკნელთა მიმართ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებების რეგლამენტაცია. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით დაზუსტდა მონიტორინგის განახორციელებელი პირების ზოგიერთი ვალდებულება მათთან საქმიან ურთიერთობებში მყოფი პირების იდენტიფიკაციის კუთხით.

ზემოაღნიშნულ კანონპროექტთან ერთად, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა კანონები „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან და დამატებებიდან გამომდინარე, 2010 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ცვლილებები და დამატებები განხორციელდა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წელს შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა 2010 წლის 16 თებერვლის ბრძანება №2 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი

პირის, ვალდებულებები. ამასთან, სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულ იქნა შესაბამისი მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები.

გაწეული საქმიანობის შედეგად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები) კოორდინირებულად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადდა პროგრესის შესახებ ანგარიში (Progress Report 2010) ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) 32-ე პლენარულ სხდომაზე წარსადგენად, რომელიც გაიმართა 2010 წლის 15 - 18 მარტს სტრასბურგში. ანგარიში ასახავს 2008 წლიდან 2010 წლის 1 თებერვლამდე დროის პერიოდში საქართველოს მიერ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. ქართული მხარის მიერ მომზადებული ანგარიში ევროსაბჭოს კომიტეტის (Moneyval) პლენარულ სხდომაზე დადებითად იქნა შეფასებული და წარმატებით დამტკიცდა.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) წევრი სახელმწიფოების უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემების შეფასების მესამე რაუნდის შედეგების შეჯამების მიზნით, 2010 წლის 26 – 30 სექტემბერს გამართული Moneyval-ის კომიტეტის 33-ე პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა კომიტეტის სამდივნოს მიერ ქართული მხარის მონაწილეობით შედგენილი ანგარიში, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეროვნული სისტემის შეფასების მესამე რაუნდის ანგარიშის დამტკიცების (2007 წელი) შემდეგ ქართული მხარის მიერ განხორციელებული ღონისძიებები დადებითად იქნა შეფასებული. ამასთან ერთად, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) საერთაშორისო თანამშრომლობის განმხილველი ჯგუფის (ICRG) დავალებით ევროპა-ევრაზიის რეგიონალურმა განხილვის ჯგუფმა (ERRG) შეისწავლა Moneyval-ის კომიტეტის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში (მათ შორის, საქართველოში) არსებული მდგომარეობის თავსებადობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებთან და შესაბამისი დასკვნები წარუდგინა საერთაშორისო თანამშრომლობის განმხილველ ჯგუფს, რომლის ანალიზიც თავის მხრივ, განხილულ იქნა 2011 წლის 21 - 25 თებერვალს პარიზში გამართული ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) 35-ე პლენარულ სხდომაზე, სადაც საქართველოს მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

2010 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში. კერძოდ, 2010 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტის ორგანიზებით თბილისში გაიმართა ტრენინგი ფინანსური გამოძიების ტექნიკის საკითხებზე. 2010 წლის მარტში ბაზელის ინსტიტუტის ინიციატივით თბილისში ჩატარდა ტრენინგ-სემინარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. სამსახურის

წარმომადგენლები დაესწრნენ ოქტომბერში იტალიაში, ქალაქ სირაკუზაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ბაზელის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და უკანონო (დაუსაბუთებელი) ქონების გამოვლენის საკითხებზე გამართულ ტრენინგს. 2010 წლის ოქტომბერში ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ვენაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფინანსური ანალიზისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების თემებზე გამართულ სემინარში. სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ასევე დეკემბერში პარიზში მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც მიეძღვნა ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საკითხების განხილვას.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური თანამშრომლობდა საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეობით საქართველოს დელეგაციამ 2010 წლის მანძილზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) გეგმიური პლენარული სხდომების მუშაობაში. 2010 წლის მაისში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინიციატივით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო ტექნიკური დახმარების პროექტის იმპლემენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ეროვნული სისტემის გაძლიერებასა და საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი იმპლემენტაციის ხელშეწყობას. ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა დიაგნოსტიკის მოდული, ამჟამად მიმდინარეობს საკანონმდებლო დახმარებისა და ეროვნული სტრატეგიის განსაზღვრის პროექტები. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის ნოემბერში შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანი იქნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული ეროვნული სისტემის შეფასება მეოთხე რაუნდის ფარგლებში და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა ევროპის საბჭოს რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტისთვის.